

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

# ნოშადურნი




№ 60.

ყოველკვირეული ჟურნალი

№ 60.

ქართული ხელოვნება.

საქართველოს ტიპები.



ხევსური.—ი. ნიკოლაძის ქანდაკება.



ქახელი ქალი.

ჩვენ და „საგნი“

I

საქართველო! მთელ ისტორიას ასე ვერ გაითვალისწინებს კაცი, თუ სამ დიდ სახელმწიფოს არ მოაქცია უმთავრესი ყურადღება. ბიზანტიის სიძლიერის დაცემის შემდეგ ეს სამი სახელმწიფო სწყვეტდა უმთავრესად ქართველთა სვე-ბედსა და სწყვეტს ეხლაც. სპარსეთი, ოსმალეთი და რუსეთი,—აი სამი დიდი ძლიერი სახელმწიფო, რომელთაც ჩვენ ვერ გავექცევოდით ვერასოდეს, ვერ გავექცეით ჩვენს საშინელ კრიტიკულ მომენტში და ვერც კვლავ გავექცევით, თუ საერთოდ წინა აზიის საქმე სხვა-ნაირად არ დატრიალდა, თუ რუსეთის მდგომარეობაც არ შეიცვალა და თუ ჩვენც არ გამოვიჩინეთ ძლიერი ნიჭი თვით-არსებობის დაცვისა და აღდგინებისა.

რასაკვირველია, ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაში სხვა ბევრ ხალხთანაც შეგვხვედრია კავშირი, ბრძოლა და საერთოდ საქმის დაქერა, მაგრამ ეს სამი სახელმწიფო ისეთი მეზობლები იყვნენ საქართველოსი, რომ მათმა ვითარებამ იქონია ჩვენზედ უმთავრესი გავლენა და რადიკალურად განსაზღვრა მთელი ჩვენი ისტორიის მსვლელობა და ბედ-იღბალი.

თავი დავანებოთ იმ ხანას, რომელიც ჩვენი სიძლიერისა და აღყვავების ხანა იყო საქართველოს ერთიანობის დროსა. მანამდის ბევრი ვაი-ვაგლახი, ბევრი ბრძოლა, ბევრი განადგურება გამოგვივლია, აგრეთვე ბევრჯერ უკუგვიქცევია ხოლმე კარზედ-მომდგარი მტერი... ფრიად-დიდი ყოფილა აგრეთვე გავლენა ბიზანტიელებისა, სპარსელებისა და არაბებისა ჩვენს კულტურაზედ, მაგრამ მაინც ჩვენ ჩვენი თავისებურება არ დაგვიკარგავს. ჩვენი სახელმწიფოებრივობა თანდათან გაიზარდა, და განსაკუთრებით დავით აღმაშენებლისა და თამარის დროს საქართველო მთელს წინა-აზიაში ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ ითვლებოდა.

შემდეგ ამ ძლიერებისა იწყება ჩვენი სისტემატიური განადგურება მონგოლთაგან და სხვა მოხეტიალე ეულ ტომთაგან, რომელთაც ცეცხლსა და მახვილს მისცეს მთელი საქართველო და მისი კულტურა. შემდეგ ეპოქაში თურქებმა აიღეს კონსტანტინეპოლი, დაანგრეს სრულიად ბიზანტიის იმპერია და შექმნეს უძლიერესი სახელმწიფო ოსმალეთისა, რომელმაც მთელს ევროპას დაუწყო მუქარის თვლით ყურება. მანამდის-კი, სანამ იგინი მცირე აზიაში თარეშობდნენ, მაინც და მაინც ვერას გვაკლებდნენ და ბევრჯერ ჩვენგან დამარ-

ცების ცეცხლიც წაჰკიდებიათ ხოლმე. მაგალითად მეფე დავით აღმაშენებლის ხელითა, რადიკალურ-სფორის ნაპირებზედ დამკვიდრდენ და შექმნეს ძლიერი ოტომანთა სახელმწიფო,—ჩვენ დიდი, დაუძინებელი მტერი დაგვებადა, რომელიც ემუქრებოდა მთელ დასავლეთსა, სამხრეთსა და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს.

აღმოსავლეთის ჩვენ მეზობელ მტერთა შორის მხოლოდ სპარსთ შეეძლოთ დაეარსებიათ ძლიერი სახელმწიფო. ვერც ლანგ-თემურის ურდოებმა, ვერც მურვან ყრუს ურდოებმა, ვერც სხვა ეულმა ტომებმა ვერ შექმნეს ძლიერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მათ გრიგალივით გადაგვიარეს; თუმცა კინალამ ძირიან-ფესვიანად არ ამოგლიჯეს საქართველო, მაგრამ მაინც მალე გადაიარა ამ საშინელმა ძალამაც და საუკუნოდ მალე ვანქრა მათგან შექმნილი, უზარ-მაზარი სამხედრო ბანაკები, რომელიც სახელმწიფო არ იყო და ვერც იქმნებოდა. მხოლოდ სპარსეთი წარმოადგენდა, როგორც ძველი კულტურის მქონე, ნამდვილ სახელმწიფოსა და სწორედ იგიც იყო აღმოსავლეთ საქართველოს მუდმივი მტერი; მუდმივი, ხანგრძლივი სახელმწიფო ორგანიზაციის მქონე ერი, იგი მტრად გარდაგვეკიდა და აოხრებდა საქართველოს თითქმის ყოველ-წელიწადსა.

ამგვარად აღმოსავლეთით სპარსეთი, დასავლეთით და სამხრეთით ოსმალეთი — აი ეს ორი მდევნი, რომელიც ჩაყლაპავს გვიქადდა მუდამ დღე და კიდევ ასრულებდა ხოლმე ჩვენი დაღუპვის საქმეს, როცა კი ძალა შესწევდა და მოისურვებდა. მე-XVI საუკუნიდან მოკიდებული ეს სპარს-ოსმალთა შემოსევა და ჩვენის ქვეყნის წარტყვენა მუდმივ მოვლენად გახდა საქართველოსათვის, და ვინ იცის მათი მხრით რითი გათავდებოდა ჩვენი საქმე, რომ მესამე, ძლიერი სახელმწიფო არ გამოსულიყო ჩვენი ისტორიის ასპარეზზედ,—რუსეთი.

ოსმალეთმა მითი ისახელა თავი ჩვენს წინაშე, რომ მთელი დიდი საათაბაგო დაამხო მისი ძლიერი კულტურითა. მესხეთი, ჯავახეთი, კლარჯეთი და ქანეთი გააოხრეს, დასწვეს, გადაჰბუგეს, ხალხი გაჟლიტეს და ძალით გამოაცვლევინეს რჯული, მრავალი გადაასახლეს და სამუდამოდ მოსწყვიტეს სამშობლოს. მთელი ეს აყვავებული მხარე, უდიდესი კულტურითა, მწერლობით, ხელოვნებით, ზნეობრივი სიმალლით,—მოჰკლიჯეს საქართველოს; დიდი საათაბაგო კი ღიდება იყო საქართველოსი, საფუძველი მისი სიძლიერისა და კულტურული არსებობისა. ეს გვარგუნეს ოსმალეებმა სამის საუკუნის განმავ-

ლობაში და თვითონ ვერც კი გრძნობდენ, თუ რასაც სჩადიოდნენ ან ჩვენთვისა, ან თავიანთვის და ან მთელი წინა აზრის მომავალი პოლიტიკისთვისა!..

სპარსელებმა აღმოსავლეთი საქართველო დასცეს. მარტო შაჰ-აბასმა რაც კახეთსა და ქართლს დღე დააყარა, მგონი მრავალს საუკუნეთა შემოსვასაც არ მოუტანია საქართველოსათვის ასეთი ზიანი. აყვავებული და მდიდარი კახეთი გადასწვა, ათათასობით მცხოვრები გაჟლიტა, ასიათასხედ მეტი კახეთის და ქართლის მცხოვრები სპარსეთში გადასახლა, სადაც იგინი დღესაც სცხოვრობენ ფერედანში და ჩვენდა საბედნიეროდ ჯერ კიდევ არ დაუკარგავსთ ენა, ეროვნება და ქართული სული და გული. შემდეგ მუდმივი წვრილი შემოსევანი, მუდმივი დასახლება საქართველოს მაწა-წყალზედ მუსულმანების ელემენტებისა, მუდმივი ჟღერა და წამება ხალხისა. ძველი სამხრეთ-აღმოსავლეთი საქართველო აგრეთვე წაგვართვეს და თათრებით დასახლეს. ბ-ნ. ვ. ჯავახიშვილის გამოკვლევით 42<sup>0</sup>/<sub>10</sub> ქართლ-კახეთის მცხოვრებთა მე-XVII და მე-XVIII საუკუნეში თათრობა იყო!..


ენას, ზნეს, ჩვეულებას,—ყოველივეს თავისი ელფერი ეკარგებოდა. სრული გადაგვარების გზაზე გვაყენებდა მუდმივი ტანჯვა და წვალება, მუდმივი შემოსევა და ჟღერა. ბოლოს კი საქმე იქამდის მივიდა რომ მთელი მაჰმადიანობა სრულიად შთანთქმით გვემუქრებოდა იმ ორ მესამედ საქართველოსაც, რომელიც კიდევ გადაურჩა მრავალ საუკუნეთა განმავლობაში შემოსევათა. ერთ მესამედზედ მეტი ხომ საუკუნოდ წაგვართვეს.

ამ დროს იბადება ჩვენში აზრი რუსეთთან შეერთებისა, მტკიცდება იგი იმისდამიხედვით, თუ „რა გვარის კანდიერებით შეკრებოდა ხოლმე ჩვენზედ უსჯულოება.“ მე-XVIII საუკუნის ბოლოში ერეკლე მეფე უკვე სწყვეტს ბედსა ქართლისასა. მისი მემკვიდრენი უკვე ფაქტიურად უერთებენ რუსეთს აღმოსავლეთ საქართველოს; შემდეგ თან და თან, ხან ძალით, ხან სამარცხვინო სყიდვით იერთებს რუსეთი დანარჩენ საქართველოსაც და აქედან იწყება რუსეთის, ამ ჩვენი მესამე-ძლიერი მეზობლის ძალის ნავარდი საქართველოს მიწა-წყალზედ. რაც სპარსელებმა და ოსმალებმა ვერ წაგვიხდინეს, ის რუსეთის ბიუროკრატია დაამთავრა. თუ ოსმალები რჯულს გვართმევდნენ—რუსეთის ბიუროკრატია ცრჯულის გარდა ყოველისფერს: ენასა და ტერიტორიას, სიმდიდრესა და თავისებურებას. თუ სპარსელები გველეთავდნენ—რუსეთის ბიუროკრატია არა ნაკლებ გვწვავდა და გვანა-

დგურებდა. როდესაც ვიუკადრისეთ მეგობრულად შემოსული მტრის უღელი, ოსმალების მიერ ვარება მისს მიმინვარებასთან შედარებით ნაპაპრი გამოდგა. ეკზეკუცია, სახრჩობელა, გადასახლება, გაუპატიურება—ყოველივე ეს სეტყვასავით წამოვიდა ქართველის თავზედ. აი რა იყო უმთავრესი დეაწლი რუსეთის ბიუროკრატის მიერ დადებული ჩვენს წინაშე.—ორს ვადურჩით, მესამემ დაგვიჩრა, და უარესი სირცხვილი და ბიაბრუ გვაქამა, უარესი წამება განიცადა ქართველის ბედმა და ისტორიამა!..

საქართველო რუსეთის სახელმწიფოებრივობის საფუძვლად შეიქმნა ეგრედ წოდებულ „ახლო აღმოსავლეთში.“ საქართველოს დაჭერის შემდეგ რუსეთისათვის შედარებით ძლიერ ადვილ საქმედ გახდა მთელი კავკასიის დაჭერაცა. იმ თავ—განწირულმა და ხანგრძლივმა ბრძოლამაც, რომელიც გასწიეს მთის ერებმა, ვერა უშველა რა კავკასიასა და იგი მე-XIX საუკუნეში რუსეთის გვირგვინის საუკეთესო, უძვირფასეს თვალად შეიქმნა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. თვით სპარსელებისა და ოსმალების სიძლიერეს მოესპო ჟამი, როცა რუსეთის ზარბაზანი კავკასიაში გაბატონდა. სპარსეთი დასუსტდა და მთელი მისი ჩრდილოეთი ნახევარი რუსეთის გავლენის ქვეშ მოჰყვა; ოსმალეთი, მრავალჯერ დამარცხებული, უკუიქცა და სულ იმის შიშში და იყო, ვაი თუ რუსმა თვით სტამბოლში ამოჰყოს თავიო! ევროპის პოლიტიკური ექვილიბრიუმი,—თორემ ვინ იცის, შეიძლება რუსეთისთვის სტამბოლის დაჭერა მაინცა და მაინც ძლიერ ძნელი საქმე არ იქმნებოდა!..

კავკასიელ მუსულმანთა დამარცხების შემდეგ იწყება მთელ ერთა ძირიანად აღმოფხვრა. მთელი ჩერქეზის ერი გაიბნა, დაიქსაქსა, დაჰკარგა სამშობლო და დაილუპა საუკუნოდ მათი ეროვნება. ნახევარი აფხაზეთი გადასახლდა ოსმალეთში. გამუსულმანებულ ქართულ პროვინციებსაც უარესი დღე დაადგათ. ნახევარი სამცხე, აჭარა და ქობულეთი წავიდა ოსმალეთში, თუმცა ამ პროვინციათა ოსმალეთისაგან ჩამოჭრით თითქმის მთელი საქართველო ისევ გაერთიანდა რუსეთის ქერ-ქვეშ. მართალია, დიდის გაჭირვების შემდეგ ისევ დაბრუნდა უკან მრავალი მათგანი, მაგრამ ჩვენზედ საუკუნოდ გულ-აცრუებულნი და მომღურავნი,—ვინაიდან გაიძვერა პოლიტიკით ჩვენ არ გვაიძულეს გვეჟლიტა როგორც კავკასიელი მთიელები, ისე ჩვენივე ქართველი მუსულმანები მთელ ერთა დამლუპველ ომების დროსა?..



უკვე წინაღ ოსმალებმა და სპარსებმა იგრძნეს რუსეთის საფრთხე, როგორც კი გაიგეს რომ ქართველმა მეფეებმა გადასწყვიტეს მასთან შეერთება. ძლიერ კარგად მიხვდნენ მაშინვე, რომ ამ შეერთებას მოჰყვებოდა დაჭერა მთელი კავკასიისა და შემდეგ მათი დაღუპვა, რომ მთელი სამუსულმანო ქვეყანა ამით ისეთ დამარცხებას განიცდიდა, რომლის მსგავსიც არასოდეს არ განეცადა; მაშინვე აფრინეს ელჩები საქართველოსაკენ, რომ შეერთების საქმე ჩაეშალათ, მაგრამ გვიანდა იყო, უკვე გადასწყდა როგორც ბედი ქართლისა, ისე ბედი მთელი კავკასიისა, აგრეთვე ბედი მთელი სპარსეთისა და ოსმალეთისა.

ასეთი როლი გვათამაშა ისტორიამ საერთა-შორისო ურთი-ერთობაში. უნდა ვიფიქროთ, რომ აღბად ოსმალეთშიაც და სპარსეთშიაც იყვნენ თითო-ორი ისეთები, რომლებიც წინაწინვე ჰხედავდნენ და გრძნობდნენ საშინელ მომავალსა, მაგრამ საყოველთაო მაშინდელ სიბნელესთან რას გააწყობდნენ! რომ მუდმივი წვა და დაგვა არ ერგუნებიათ ჩვენთვის წილად სპარსეთსა და ოსმალეთსა, რომ ჩვენი ერისათვის დაეცლიათ კულტურული ზრდა, დაეცლიათ გაერთიანება საქართველოსი, გაძლიერება ჩვენი სახელმწიფოებრივობისა, შეექმნათ ნეიტრალური სახელმწიფო, როგორც ბუფერი, მათთვისაც გამოსადეგი და ჩვენი მშვიდობიანობის უზრუნველ-ყოფელიც, — ვინ იცის, იქნებ მართლაც კავკასიის კარი საუკუნოდ დაიხშობოდა და ჩვენი და სხვისი ბედიც უფრო ბრწყინვალე იქნებოდა, ვიდრე ეხლანდელი აწეწ-დაწეწილი მდგომარეობა. მაგრამ არ ინდომეს ყოველივე ესე თავდაპირველად, ვერ მიხვდნენ, რაშიაც იყო საქმე; ბოლოს-კი ყოველივე უკვე გვიანდა იყო; საქართველო სისხლით დასცალეს, იმედი გაუწყვიტეს, ნდობა დაჰკარგეს მის თვალში, და მერე დაიწყეს ჭკვიანი მოლაპარაკება, და აბა რაღა დროა, კაცი ჯერ მოჰკლა და მერე წამალს ასმევდნენ და თან ელაპარაკებოდნენ — მენდენ, საწამლავს კი არა, სამკურნალო წამალს დავაღვივებო. დიხხ, როგორც თვალეზ-დათხრილი რაჭველი ჯაფარიძე სწერდა განდგომილსა და დასჯილ როსტომ ერისთავს, ჩვენც ისე შეგვეძლო მიგვეწერა სპარსეთ-ოსმალეთისათვის...

სპარსეთო და ოსმალეთო,  
რა საქმე ჩაიდინეთო!  
ჩვენც წავგახდინეთ, თქვენც წახდეთ,  
აბა რა შეიძინეთო!..

**ალაროდელი**

(შემდეგი იქნება).

**ილია ჭავჭავაძის სსოვნება**

(წლის თავზე)

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

განვილილ წელსა სხვაი წელი  
მოყვება და განახლდება  
და წარსული ავიც-კარგიც  
კაცს მომავლით ავიწყდება.

ასეთია თვით ბუნების  
კანონი და დებულება—  
ყველამ უწყის ეს თვისება  
ცხოვრებაში რომ მართლდება.

მაგრამ წასულ წელიწადი  
ბევრად სხვაში განსხვავდება,  
რადგან შარშან ერს მოუკლეს  
ქვეყნის თვალი და დიდება.

უსაზღვროა ივერთათვის  
გოდება და მწუხარება  
არც იქნება მომავალით  
მათი სევდის შემცირება.

მოთქმა-კენესა განუწყვეტლივ  
ქართველთ გულს არ განშორდება;  
არცა ზიზღი წყევა-კრულვა  
მტარვალთამდი არ შეწყდება.

**იმერელი ქალი.**

**არ ახალია, — ძველია**

(პარალელი)

ერეკლე მეფის დროს ლეკები მუდამ არბევდნენ ქართლ-კახეთსა.

1755 წელს ერთი მძარცველი ბრბო ჩამოვიდა დაღესტნიდან და დაიფანტა საქართველოში სათარეშოდ.

მძარცველების გასადევნად გამოილაშქრა მეფის სახლთ-ხუცესი მუხრან-ბატონი კოსტანტინე. ლეკები ღართის-კარში დახვდნენ და მუხთლად მოკლეს ქართველების სარდალი.

„და რომელნი ახლდენ კაცნი თავისნი, ყველანი გაიქცნენ და ვერარა სახმარ-ექმნეს“, — დასძენს ჩვენი მემატიანე.

\* \*

მასაქეთ განვლო სწორედ საუკუნე ნახევარმა და საქართველოს ყოფა უცნაურად გამოიცივალა. ერთობის დღე იყო.

ქალაქის ქუჩაში ხალხი მოზღვავებული მოდიოდა. წითელი დროშები გაეშალა და მისი ძახილი, ბორკილისა მსხვრეველი, ზეცამდე აიწვოდა.

ხალხს მიუძღოდა „ქაბუკი ვინმე ჩაუქი“, ისიც წითელის დროში. ქაბუკს თავისუფლების ეშხით თვალნი აღზნებოდა და პირი ვარდსავით აღჰყავებოდა.

უეცრად გაისმა: „არქი, დრაგუნეი მოდიან“! მართლაც, ქუჩის შესახვევიდან გამოჩნდა ხუთიოდე დრაგუნი და მიუხდა ხალხს.

ქაბუკმა თავი გასწირა, დროშა ამართა და წადგა წინ.

დრაგუნები შედგნენ, ქუდები მოიხადეს და დაიძახეს:

„თავისუფლებას გაუმარჯოს!“

ქაბუკმა დაალო პირი, რომ ხალხთან ერთხმად ეგრიოლა:


„თავისუფლებას გაუმ“....

მაგრამ მოიხედა და... აკი ქუჩა ცარიელი არ დახვდა!

\* \*

ჩემო კარგო ქვეყნავ, რაზედ მოგიწყენია? დრო რაც უნდა იცვალოს, ყმა და ბატონი მაინც გვეყოლება.

**რიზ ბაბა**



**ილია ჭავჭავაძის ხსოვნას**

მოჰკლეს პოეტი, მუხათ მიჯნური,  
არ შეიბრაღეს მოხუცებული,  
თვით მის ერისამ ტლანქად, უგულოდ  
ტყვია ესროლა დამიზნებული.  
მოჰკლეს!.. რაღაა ეხლა ტირილი,  
რა საჭიროა კვნესა, გოდება?  
ჩვენი საუნჯე ვერ შევიფერეთ,  
და როს დავკარგეთ რად გვეცოდება?!  
მან თავის საქმით უკვე აიგო  
თვით ხელთ უქმნელი დიადი ძეგლი;  
იგი დაშთება უკუნისამდე  
მას ვერ დაარღვევს დრო-ჟამთა გრდემლი!

**მინიელ გერმანაშვილი.**

**ლევ ტოლსტოის წინამორბედი**

**დავით ჰენრი თორო**

(დასასრული \*)

თოროს ღრმად სწამდა, რომ სამართადი საფუძვლად უნდა დაედვას ადამიანის ცხოვრებას. იმან იცოდა, რომ თვითუფლი ნივთი და აუკუი, რომელიც ჩვენ ოთხნი დგას სხვების შრომითაა შექმნილი და რაც უფრო მეტი

ნივთები და აუკუი გვაქვს, მით უფრო მეტი ხალხს ვხვავრავთ და ვძარცვავთ. ამიტომ იმან განაწილებული უბრალოდ ეცხოვრა, რომ ნივთების უფრო მეტი წარმოება ვით უფრო მეტი კმაყოფილი და შეძლების დაგვარად თვითონ გაეკეთებია მისთვის საჭირო ნივთები. მართლაც იმან საკუთარს სუფთად გააკეთა რამდენიმე მაგარი ხის სკამი, ხისავე ფოტინი და კიდევ ოქსისში სახმარაო სხვა და სხვა წერილი ნივთი.

თვითუფლი ნივთი ადამიანისაგან უურადდებას ითხოვს და ნივთები მოხლოდ მდიდარ ოჯახებშია ბლომად, რადგან მდიდრებს მოსამსახურეები ჰქვავთ, რომელნიც ამ ნივთებს უვლიან, სწამენდენ, აღაგებენ და უფველდე, წლიდან-წლამდე ამას უნდებთან, მდიდარი პატრონები კი ამ ნივთებით სარგებლობენ.

თავის საქმეს, რასაკვირველია ორგულად აკეთებენ მოსამსახურეები და ბატონებს თუ მუდამ იმათზე თვალი უჭირავთ მუდამ-დე სწოთვნიან, ჰკიცხავენ და ღანძლევენ, უმოსამსახურად კი ვერ სძლებენ, რადგან თანხანარი მოთსოვნილება აქვთ, რომელთა დაკმაყოფილება მარტო თავისი ძალ-ღონით არ შეუძლიანთ.

თოროს ნაწერების კითხვის დროს გამახსენდა ერთი ძველი ამბავი არაბეთის ცხოვრებიდან. ერთხელ მთელი არაბეთის თვითმშობელი მეფე-ხალიფი სასკიანოდ გამოვიდა მშენიერ თეთრ ცხენზე მჯდომად, თვალ-მარჯალიტებით შემკული და ოქროს ნაქარგი ტანისმოსში გამოწეობილი. იმას უკან მოსდევდა ღამისად მოკაზმული მსლელებლთა ჯგუფი. ქუჩაში ხალიფს შესვდა ერთი დატაკი დაფრიში, იმის წინ მუსლი მოაკეცა და დიდის პატონის ცემით მადლობა უძღვნა.

— რისთვის შეუბნები მადლობას? — ჰკითხა ხალიფმა.

— იმისთვის, მიუგო დაფრიში; რომ ეველა იმ სიმდიდრის, რომელსაც შენ ტანზე ვხედავ, მთელი ამ ოქრო-ვერცხლისა და თვალ-მარჯალიტების შენსაგა და უურის გდება შენ ივისრე, ჩვენ კი მუქად და უშრომლად ვსარგებლობთ ეველას ამით, შენ ტანზე ვხედავთ და ვსიამოვნებთ.

ასეთი მოსწრებული სიტუვებით დასცინა დარბმა დაფრიში ბრწეინვალე სელმწიფეს და ჰენრი თოროს მთელი თავის ნაწერებში ამგვარადვე მოსწრებულად დასცინის მდიდრებს და იმათ სიმდიდრეს. იგი ნათლად გვაჩვენებს, თავისი ცხოვრების მაგალითით, რომ ამ შვიდასი წლის წინად შოთა რუსთაველის შაირებში მოხსენებული სიტუვები იმის შესასებ, რომ

ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ღხენასა, კვლავ აქა სულსა დაბაძს, დაუშლის ადმა ფრენასა, —

ხამდვილი ბრძნული ჰქმნაჩიტებას.

\*) იხ. „ნიშნა დური“ № 58

როგორ ატარებდა თავის ცხოვრებას ჰენრი თორნი-  
ლიას გათენებისას დეობდა, და უკვე კარგ გუნებაზე  
იყო, რადგან ჯან-საღობა საკმაოდ ჰქონდა. იმან კარგად  
იცნოდა, რომ მხოლოდ იმას, ვინც არა მარტო თავს,  
ტვინს, არამედ ხელ-ფეხსაც და მთელი თავისი სხეულის  
ძარღვებს ამუშავებს, მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია  
შეიძინოს ჯან-საღობა, მად და კარგი გუნება. თორნი-  
კი სწორედ ასეთი რიგაინი და წესიერი ცხოვრების მი-  
მდევარი იყო: ტვინს და სხეულს თანაბრად ამუშავებდა  
და, დიდას რომ იღვიძებდა, მარჯად და ხალისიანად  
ფეხზე წამოდებოდა და თავის პაწია ბოსტანში მუშაო-  
ბას იწყებდა. გამჭრიახი გონების პატრონი, თორნი-  
სიერად უფლიად თავის ბოსტანს და თავისთვის საყოფ-  
თი ბოსტნეულბა მოჭყავდა მუშაობას რომ მოხებო-  
და, თავის მეგობრებთან მიდიოდა: ესე იგი ტყეში სე-  
ირობდა, სადაც უკვირდებოდა მცენარეულობისა, ბუჩქ-  
ბისა და ხეების ზრდა განვითარებას, ფრინველების ზნე-  
ჩვეულებას, შემდეგ თავის ნახულს და ნაფიქრს დაწ-  
ვრილებით სწერდა. ბუნების მეცნიერ ნაწივლ კაცებს  
თორნი ნაწივი ბუნების ცხოვრების შესახებ მეტად სა-  
ყურადღებოდ მიანხათ და იმისი ნაშრომით სარგებლ-  
ბენ. თორნი ისე მეგობრულად ეპყრობოდა ბუნების შვი-  
ლებს, ეგულა ცხოველებს რომ ისინი მალე შეეჩვივნენ  
იმას, თავის კეთილ-სურვილ მეგობრად იცნეს და იმისი  
სრულებით არ ეშინოდათ: ჩიტები პირდაპირ თავზე და  
მხრებზე აჯდებოდნენ თორნი, როგორც თავის კეთილ და  
კარგა ნაცნობ მეზობელს. ასე განსწავთ თევზებიც კი  
მოამხრო და თავის მეგობრებად გახდა ამ კეთილმა  
ადამიანმა. იქვე ახლას ვაფდენის ტბა იყო, სადაც პაწია  
თევზები გუნდ-გუნდად დაცურავდნენ. თორნი თანდათან  
ისე დაუახლოვდა ამ ცხოველებს რომ იმისი სრულებით  
არ ეშინოდათ: ხელს რომ ჩაჭყოფდა წყალში, პაწია თევ-  
ზები იმის თითებს შუაცურავდნენ და თავისუფლად ცელ-  
ქობდნენ.

ესაა შეიძლება ვინმე იკითხოს: ეგულა ეს კარ-  
გია, მაგრამ ნუ თუ თორნი ბუნებას და ბუნების შვილებს  
იმიტომ დაუახლოვდა, რომ ადამიანთა და კაცთა საზო-  
გადობას გასცდოდან. ნუ თუ მარტოდ-მარტო ატარებ-  
და თავის ცხოვრებას და კაცთაგან არავის იკარებდა?

ინგლისელებს ერთი საყურადღებო ანდაზა აქვთ,  
გინდა, რომ ბევრი სტუმარი გვახდეს და კაცთა საზო-  
გადობა არ დაგაკლდეს, სადმე მიერეუბულ ალაგას  
მარტოდ მარტო დაუდებულად დადექი. მართლაც თ-  
ორნი ცოცხალი მაგალითი კვიპიტკიცეს, რომ ამ ანდაზას  
ტეშმარტება უძევს საფუძვლად. როცა ქალაქელმა ხალ-  
ხმა შეიტყო, რომ თორნი მარტოდ-მარტო ცხოვრობს  
ტყეში ვაფდენის ტბის ახლოს, საკუთარი ხელით მო-  
ყვანილ ნაყოფით იკვებება და ამავე დროს მწერადიცაა  
და საყურადღებო ნაწივრებიცაა აქვს ეგულა ძალიან დანი-

ტერესდა და თორნი სასახავად ემურებოდა. ჰენრის ყო-  
ველ დღე საკმაო სტუმრები ჰყავდა. ისინი მარტობით  
დენ ამ მათთვის ერთობ არა ჩვეულებრივად ადამიანს, თუ  
რამ აიძულა იგი ამგვარ ცხოვრების გზას დასდგომო-  
და, რა არის მისი მიზანი, ვინ არის იმისი დმერთი.  
თორნი პირდაპირ და გულ-ახლიდად უზიარებდა ეგულას  
თავის აზრებს და მკითხველებსა და მსმენელებს ბევრი  
საყურადღებო ფიქრი აღუძროს იმისმა სიტუებში.

თორნი რწმენა იყო, რომ მთელი სულ-დგმული და  
უსულა ბუნება რაღაც უხილავი ძალით ცოცხლობს. რა-  
ღაც იღუმელ წყაროდან გამომდინარეობს, რომელსაც  
ძველის დროიდან კაცთა ტომი შემოქმედს, დმერთს უძ-  
ნის. ეგულაზე მძლავრად და თვითუფლ ჩვეულებისათვის  
ამკარად ეს ღვთიური ძალა ადამიანის სულს და სინი-  
დისშია გამცნადებულა. თვითუფლი ჩვენგანი გრძობს  
სიყვარულს თავის შობელ-მასლობელთა და მეგობართა  
მიმართ, ეცოდება ღარიბნი და გაჭირვებულნი, ვინც  
გულ-კეთილია სცდილობს დჩაგრულთ ხელი შეუწეოს,  
რამე ნაირად დაეხმაროს. ადამიანის ცხოვრებას მხოლოდ  
მაშინა აქვს შინა და მნიშვნელობა, როცა იგი მხოლოდ  
თავისი მუცლისათვის, თავის საკუთარ კეთილდღეობისა-  
თვის არ ცხოვრობს, რამე სიკეთე სწეუროს, სხვებზე  
ფიქრობს, სხვებს ეხმარება. ვინ მისცა ასეთი სურვილი  
და წადილი ადამიანს? საიდან განხდა ამგვარი კეთილი  
გრძობა ადამიანის გულში, რად ეცოდება იმას ეგულა  
ჩაგრული და გაჭირვებული? ამ საკითხებს დრმად და  
დინჯად უკვირდებოდა ჰენრი თორნი და თავის გულში  
გადანწყვიტა, რომ უმიზეზოდ არაფერი არ ჩნდება ამ  
ქვეყნად და რომ ადამიანის კეთილი გრძობის გამჩენიც  
რაღაც უმაღლესი ძალა უნდა იყოს, რომელსაც მთელ  
დედა-მამის ზურგზე სხვა-და-სხვა ხალხნი სახელად  
დმერთს უწოდებენ. ამ დმერთმა ჩავვიჩვენა ჩვენ სინი-  
დისი, ამობდა ჰენრი თორნი, და ამ სინიდისის ხმას  
რომ უსმინოს ადამიანმა და ისე იცხოვროს, სხვებსაც  
სიყვარულს გაუდვიძებს და თვითონც ბედნიერი იქნება.

თორნი ასეთი რწმენა მთელ იმის ცხოვრებასა და  
ნაწივრებს საფუძვლად დაედა. იგი სცდილობდა თავისი  
სინიდისის თანხმად ეცხოვრა, რადგანაც ეს სინიდისი  
უშირველეს მეგობრად და მჩვეულებად მიანხნდა თორნი  
ჰენრად, რომ მთელი სახელმწიფო ძალმომრეობაზეა  
აკებული, ქვეყნა ციხეებით, სატუსაღობით და ყაზარ-  
მებითაა სასუ. გულს ამოხრებენ სოფელს, სალდათად  
მიჭყავთ ჯარში, მეზობელ ხალხთან ბრძოლაში გაჭყავთ,  
რათა იმისი ქვეყნა ხელში ჩაიგდონ. თორნი იცნოდა,  
რომ ეგულა ამას მთავრობა სჩადის, ატყუებს ხალხს და  
მერე იმის უცოდინარობით, უფიცობით სარგებლობს,  
თავის გასამდიდრებლად. თორნი იცნოდა, რომ სატუსა-  
ღობაში მცირე ქურდებითაა სასუ და რომ დიდი ქურ-  
დები, მდიდრები და მთავრობის კაცები, თავისუფლად

დადიან და ტუსადების დასაჭერად და სადარჯოდ სალ-  
დათებს ჰგზავნიან, რომლებიც შეუგნებლობით და შიშის  
კამო ემორჩილებიან მთავრობას. იმან კარგად იცოდა,  
რომ უფლებანი ძალადობა სწავრავს ადამიანს, რომ  
ქურდები ხყენი ძმები არიან, რომლებიც სიღარიბის გამო  
ცუდ წრეში ჩავარდნენ, ისეთ მეგობრებს დაეხმოდნენ,  
რომლებმაც ცუდი მაგალითი აჩვენეს და შეახვიეს ისინი  
ქურდობას. ამისთანა კაცებს დასჯა კი არა, ძმური ქცევა  
უნდა, რადგან ვინც კარგად ცხოვრობს, უსუსხის მტეპე-  
ლია ქურდების წინაშე, აღბად ბავშობიდან კარგად ზრდი-  
დნენ, ცუდ მაგალითებს მოარიდეს, განათლება მისცეს,  
და ქურდის არაფერი ბრალი არ არის, რომ იგი სიბნე-  
ლეში დაწვა: არავინ ჰყავდა ჭირისუფალი და მისთვის  
მზრუნველი ადამიანი.

თორემ კარგად იცოდა, რომ მთავრობა ჯანით  
არის ძლიერი, რომ უსაღმართო იმას ძალმომრეა არ  
შეუძლია, და რომ ჯარი თვით სალხია, რომელიც მთავ-  
რობას ემორჩილება და მერე თავის მეზობლებს, ისევე  
თავის ძმა ხაფხს სწავრავს. ამისთანა მორჩილებას ცხ-  
რედ უარყოფდა ჰენრი თორო, რადგან კარგად იცოდა,  
რომ უჯანოთ, უსაღმართო თვით მთავრობაც არ იქნე-  
ბოდა, არ გაიჩვენებოდა და მთავრობის კაცები, რომ-  
ლებიც დღეს თავის ძლიერებით არიან გატაცებულნი და  
კარგნი-გაფუჭებულნი, ჯარი რომ ჩამოაგდოთ, იმუ-  
ლებულნი იქნებიან თავის შრომით იჩინონ თავი და  
რიგიან ცხოვრებას შეუდგებიან.

თორემ იცოდა აგრედვე, რომ მთავრობა ათასნაირ  
გარდასახადს ახდევინებს ხაფხს, ფუფს ანთივეს უზარ-  
მების და ჯარის შესანახად, მეზობლებთან იმის სასტე-  
ხად, და ამ გარდასახადებს ხაფხი იმიტომ აძლევს, რომ  
მთავრობისკენ დასჯის ეშინია. თორემ უშიშარი და გუ-  
ლადი ადამიანი იყო და იმიტომ პირდაპირ გადასწვიტა  
არ დაჰმორჩილებოდა მთავრობას იმ საქმეში, რომელიც  
იმის სიხილის ეწინააღმდეგებოდა. რადესაც თოროს  
სამშობლოს, ამერიკის შეერთებული შტატების მთავრო-  
ბამ იმი გამოეცხადა მეზობელ ხაფხს, მექსიკელებს,  
და ხაფხს ახალი გადასახადი დაადგა იმის ხარჯის გა-  
სასტუმრებლად, თორემ ამ გადასახადის შეტანასე უარი  
სთქვა და პირდაპირ გამოეცხადა მთავრობას, მე მეზო-  
ბელ მექსიკელებს არაფერს ვერჩი, არაფერი მტერობა  
არა მაქვს მათთან და თქვენ თუ ემტერებით და იმს  
უპირებთ უფლებას არა გაქვთ ამ ცუდ საქმისთვის ფუ-  
ლი მომთხოვოთ და მეც გადაჭრით გიცხადებთ, რომ ამ  
ცუდ საქმეში არ გავევებით და ფუფს არ მოგცემით.

ამისთანა პირდაპირი და სიხილისიერი ქცევითავე  
მთავრობის კაცებმა დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს ჰენრი  
თორო. იგი უჩადად და მხიარულად იყო, სუფით არ  
ეცემოდა, რადგან კარგად ჰგონებოდა რომ თავისი სი-  
ხილისი, ღვთის ხმას ემორჩილებოდა და იმიტომ მტკი-


ცე გზასე იდგა. მთავრობის კაცებმა, მხნელებმა და-  
ამინეს თოროს დედა, რომელმაც იმის მაგიერ შეიტანა  
გადასახადი იმის სასარგებლოდ. ძალიან უჭირს თოროს  
როცა ეს ამბავი გაიგო და სატუსადოს უფლები შეიყუ-  
და შესანიშნავი სიტუებები დასწერა: მთავრობას უნდოდა  
გაყოფილი მექსიკელებთან სამხრად, საყახადოდ. მე არ  
გავევი. მაშინ მთავრობამ ძალით შეატანინა დედა ჩემს  
ფული იმის სასარგებლოდ, ესე იგი გაგვარცვა, ჩვენზე  
უჩაღობა გამოიჩინა. აქედან ის უნდა დავსვენათ, რომ  
მთავრობა უჩაღია.

თორემ რამდენიმე დღე ამოფეეს ციხეში და შემ-  
დეკ გარეშეს.

თოროს ნაწერებში ბევრი დრმა აზრისანი ფურც-  
ლებია ყველა მთავრობის სასიძვრო მოქმედების შესახებ.  
იგი სულ იმას იმეორებს, რომ თვითთველმა ჩვენგანმა  
თავის თავს უნდა უსმინოს, თავის სიხილისს უნდა დაე-  
მორჩილოს, რომელიც კარგა გზასე დაეყენებს და სხვის  
მხა-მორჩილად არ გასდის ადამიანს. კაცთა შორის მ-  
შინ დამკვიდრდება ძმობა, ერთობა და ბედნიერება, როცა  
თვითთველი ჩვენგანი ამ ღვთიურ ხმას, სიხილისსა და  
კონიერებას დაემორჩილება.

თორემ გადაიკვალა 1862 წელს, თავის სამშობლო  
კონკორდში. იგი მაშინ 45 წლის კაცი იყო. იმისი სა-  
მანე მშვენიერი ბუნების კალთაში მდებარეობს. ღოდზე  
შემდეგი საფურადლებო სიტუებები აწერა: „სანამ ცოც-  
ხელ არიან სიტუებები, ძმობა, ერთობა და სიყვარული,  
ჰენრი თოროს სახელიც არ მოკვდება კაცთა შორის“.

ილია ნაკაშიძე



დაობლდა ვარდი.

(ილიას ხსოვნას)

დაობლდა ვარდი აყვავებული,  
ტყვიამ იმხვერპლა ტკბილი ბუღბუღი.  
ლამით ჰკივის ბუ გლოვის ხმიანი,  
დღისით ყორანი ავზარიანი.  
მყარლა 1) ვარდს სწავებს ცუდ-მყარლობასა;  
ბოროტი კეთილს აყრის გმობასა,  
უსამართლობა თავს აღარ ჰმალავს  
და შავის ფრთებით სიმართლეს ჰფარავს.  
მაგრამ ჰე, ვარდო, გაღაიშალე,  
და პირს ღიმილი კვლავ აიშალე.  
რაც უნდ სიმყაროს გწამებდნენ მტრები,  
შენ მაინც ტურფა ვარდი იქნები.  
და მოვა ის დროც ხშირ-სანატრელი,  
ქეშმარიტების აღმადგენელი,  
როს გაბრწყინდება სიმართლე სრული,  
ნეტარებითა გარემოცული.  
ტკბილი ბუღბუღი მკვდრეთით აღსდგება,  
გული ღხენითა; ახიჩინდება,  
და ბოროტება, ცილის წამება  
სამარადისოდ დაითრგუნდება!

ი. მჭედლიშვილი

1) მყარლა-მყარალი ბალახია — აყვავდება ხლამე.

კონსტრ-რემოლიუსია საარსეთში

მიუხედავად სპარსეთის, ყაენის და მისი შინაური თუ უცხოელი დამკაშვების მხეცურის ძალმომრეობისა, ვაი და ვიშით ნაპოვნი თავისუფლების წინააღმდეგ გალაშქრებისა, სპარსეთის ხალხმა შესძლო თავის გულის და სულის სიღრმიდან წარმოეშობა ქვეყნისა და ერისათვის თავგამოდებულთა რაზმი, რომლის მთავარი ძარღვია და ბელადი სათარხანია. თავრიზი, მეორე დედა ქალაქი ირანისა სათარხანის წყალობით სსტიკ წინააღმდეგობას უწევს ქვეყნის მტრების და თავისუფლების ჯალათებს. სათარხანს ხალხი უკვე უწოდებს სპარსეთის გარიბალდის. დღე ერთია და ათასი თანამგრძობი სათარხანისა... უეჭველია, სათარხანი თავისას გაიტანს და სპარსელებს დაუბრუნებს იმ თავისუფლებას, რომლის ღირსია და რომელსაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი ლამობენ ფეხქვეშ გასთელონ. ვაშა და დიდება სათარხანს და იმ ერს, რომელსაც შეუძლიან სათარხანების აღმოცენა!



სათარ-ხანი და მისი ფილადები

სპარსელი ძალის „იანანა“

(ედღენება ჩვენს მეზობელს თათრის ქალებს)

დღესა სცვლის ღამე, ღამეს—დღე;  
 ბნელეთს მზის სხივი ნათელი,  
 ზაფხულს ზამთარი და ზამთარს—  
 გაზაფხულისა დამცველი;  
 სიკვდილს—სიცოცხლეს, სიცოცხლეს—  
 კვალად სიკვდილი გამქვრელი...

არ იქმნა, ჩემი ვარსკვლავი  
 ვეღარ გამოჩნდა ცაზედა,  
 უბედოს ბედის მწერლისგან  
 ცა არა მხურავს თავზედა,  
 თითქოს მონად ვარ შობილი  
 მსოფლიოს მთასა და ბარზედა!

ერთად შენ მყევხარ ნუგეშად,  
 ნაქერო ჩემის გულისა,  
 მონა-დედისგან შობილო,  
 გზა-ხილად სიყვარულისა;  
 შენც ნუ დამტოვებ და გქონდეს  
 ცნობა რამ სიბრალულისა!

ნანაო, ნანა! პატარავ,  
 ჯერ ყრუ-მუნჯი ხარ, მძინარე,  
 არ იცი ჩვენი ღუბჭირი  
 ცხოვრება-ავად მდინარე;  
 არ იცი შენსა მშობელსა,  
 მამა რა რიგ ჰყავს მცინარე!..

ს ი ნ ა ნ უ ლ ი

(რომანსი)

რად მიყვარდი, რად გეტრფოდი,  
 ვნებით გული რად მითრთოდა,  
 ნეტავ შენგან რას ველოდი;—  
 რას ვფიქრობდი, რა მინდოდა?!

\*\*

ვით ფარვანა გვევლებოდი,  
 ღზენით გული მვესებოდა,  
 მე თვით მიკვირს რად ვკვდებოდი;—  
 რას ვფიქრობდი, რა მინდოდა?!

\*\*

ეხლა მიგხვდი რათ ვსტიროდი,  
 რათ ვერ ვძლებდი უშენოდა,  
 რათ ვოხრამდი, რათ ვიწოდდი;—  
 რას ვფიქრობდი, რა მინდოდა?!

\*\*

რათ არ მითხარ თუ იცოდი,  
 რომ ეგ გული სხვისკენ რბოდა,  
 რათ მომშხამე, რას მერჩოდდი?—  
 რას ფიქრობდი, რა გინდოდა?!

ი. გრიშაშვილი.





ქართული  
ლიტერატურა

მე გზობე, უნდა გამზარდო,—  
ყურში გაწვეთებ ამასა:  
არ იყო მხეცი ნადირი—  
არ დაემგზავსო მამასა:  
მეც მიცან აღამიანად,  
არ გნუკავ მხოლოდ ქამასა.

ცხოვრება წარმავალია,  
მე კი ისევე ისა ვარ,  
პირ ახვეული, „ქკვა-მოკლე“,  
თითქო პირუტყვი „ძროხა“ ვარ...  
ყოველგან გამორჩეული,  
აჩრდილის მზგავსად დავდივარ!..

ნანაო, ნანა პატარავ,  
ჯერ თუმც მუნჯი ხარ, მლიმარე,  
გამოიზრდები, გაიცან  
ჩვენი ცხოვრების მდინარე,  
იკითხე, როდემდის ვიყვნეთ  
ზნელ-უკუმეთში მდინარე!..

ერთ-კერძ ყმა,—იქით ბატონი,  
მზავრელი,—იქით ჩავრული,  
ენას რო ძალით გვგლეჯავენ,  
თვით ენა-პირით დართული,  
იკითხე: ისე რამა გვქნა  
ცხოვრების შიგან ჩართული!..

მე ჰარამხანა მარგუნეს,  
მომიკლეს გული ნდომისა,  
მონა ვარ მამიშენისა—  
ჟინი აქვს გამორჩომისა,  
აზრ-გუნებას კი მიყალბებს,  
რცხვენის გვერდს ჩემი დგომისა!

ჩადრში ვარ გამოხვეული,  
ყველასგან გარიდებული,  
ლოგინის მსხვერპლი... მშობელი,  
ძროხასთან დაბადლებული  
ღეთისა ქმნილება, სწორისგან  
უმართლოდ დადაბლებული!..

ნანინა, ნანა პატარავ,  
იცან—რათა ვარ მწუხარე,  
ძუძუს გაწოვებ, იზარდე,—  
გახდი მშობელის მომხმარე  
ქალ-ვაჟის გასასწორებლად  
ხმა შემოსძახე მქუხარე!..

გურჯოღლი



ილია ივანესძე წინამძღვრიშვილი

(დამაანსებელი წინამძღვრიანთკარის სამეურ-  
ნო სკოლისა.— 25 წლის ანსებობის გაშო.  
დაანსდა 4 სექტემბერს 1883 წ.)

მარიამ სალარიძისა

დაქედავთ, ბატონებო, ამ სურათს და ბევრი თქვენ-  
თაგანი იკითხავს: ვინ იყო მამო სალარიძისა? (მისიეფ  
ჟამუტაშვიდის ასუფი).

მამო არ იყო არც მწერალი, არც ცნობილი სა-  
ზოგადო მოღვაწე, იგი მხოლოდ სახალხო მასწავლე-  
ბელი ქალი იყო და აი სწო-  
რედ ამ სახარეზზე დამისხურა  
ის მატევისტემა, სიევარუფი და  
მოგონება, რომეფიც არ ამო-  
ფხვრება მის მოწაფეთა, მას-  
ლობელთა და ნანობთა გულ-  
გონებაში!



მარიამ სალარიძისა.

სამწუხაროდ მამოს აღარ  
დასცალდა ძალოვანად ფრთები  
გაეშალა და ცნობილ მოღვაწე  
ქართველ ქალთა შუა მოქცეუ-  
ლიყო. იგი სწორედ მამინ გარ-  
დაიცვალა, როცა უკვე მომწი-  
ფდა, გონებით განვითარდა, სამოღვაწეოდ მოემსადა და  
თამამად აზირებდა შებრძოლებას ქართველების დამაქვი-  
თებელ უკუღმართობასთან.

ერთი უმთავრესი უკუღმართობათაგანი, სხვათა შო-  
რის, ჩვენი რჯანური მოუწყობლობა, ჩვენანების შეუ-  
გნებლობა, უვიცობა და უმეტრება. თითქოს „ნასწავლი“  
ქალებიცა და ვაჟებიც ბევრი გვეყვს, თითქოს ბევრიცა  
სწავლობს და მარაქაში ერევა, მაგრამ შინაურულად თუ  
ჩაუუკვირდებით, დავინახავთ, რომ ამ „ნასწავლთა“ უმ-  
რავლესობა, გლახა მამებისა, დედებისა, დებისა თუ ცო-

დების შეხებით გულთ ჯგჯფხეთს ატარებს და თავიან-შვილებიანთ გადაგვარების გზაზე დამდგარა. სხვის ხელის შემაყურებელ ქართველ ერს ბევრი სხვა ტირილა გვჭირს. მაგრამ დიდ სიკეთეს არც რუსული სასწავლებლები გვაყრის. როგორც მოგვხსენებთ ეს სკოლები ისეა დაყენებული, რომ მოსწავლე ზეკარდმო ნიჭით თუ არ არის დაჯილდოებული, ცხოვრებაში უფერული გამოდის და მარტო კუჭის მრწამსი და ამოკედლებს.

როგორც ერთმა რჩეულთაგანმა მამო სალაროძისამ იმ თავითვე დასძლია სკოლის \*) ცუდი ზეგავლენა, დაადგა თვით განვითარების გზას, შეიევარა ქართული მწერლობა, ჩუკვირდა თავის ერის მაჯის ცემას და იმ დროს, როცა მის ამხანაგ ქალთა უმრავლესობა ან კეკელუცობაში ატარებდა დროს და ან ფუქსავატობაში, მამო სალაროძისა დღე დამ ფიქრებდა და ზრუნავდა თავის თავისა და სხვის გადაშინებაზე.

მამოს იდეალი იყო შრომა, შრომა წმინდა და კაცთა აწმადლებელი ღირსი დედ მამის შვილი, ხოლო შემდეგში უფრო ხელ-მოკლე კაცის მეუღლე. აინუში არ იკედებდა კერძო ცხოვრების სიმწარეს და მთელ თავის ძალ-ღონეს—ქონებრივს თუ ზნეობრივს—საზოგადოებრივ კეთილ-დღეობას ალექვდა, მამოსთვის ზირადი „მე“ თითქმის არ არსებობდა. ბუნებით ამაყი, ზირში მთქმელი და შეუზოვარი, იგი ფიანდაზათ ეშლებოდა დიდსა და ზატანს, თუ კი სედავდა რომ ესენი გამოსადგენი იყვნენ თავის ქვეყნისათვის, მშრომელი ხალხისათვის. მამოს სახლი ქართული წიგნებისა და ყურნალ-გაზეთების საცავი იყო.

თვით მამოსათვის კი სამწუხარო ის იყო, რომ ქმრის სამსახურისა გამო, ზირველ ხანებში სამშობლოს გარედ—ბაქის გუბერნიაში უხდებოდა ცხოვრება, მაგრამ აქაც გულ-ხელ დაკრებილი არ იჯდა. ყველა სიკეთესთან ერთად მამოს ჭქონდა ნამდვილი მოწოდება მასწავლებლისა, ზედგოგისა. და ხელიც მიჰყო მასწავლებლობას—ადამიანურ გრძნობათა აღზრდა-განვითარებას.

ამ მადლიანი საქმესა და მუშაობაში მოადწია კიდევ განმათავისუფლებელმა მოძრაობამ. მამოს ადრეობის საშეღვარი არა ჭქონდა: გულის თქმა უსრულდებოდა, ხალხი იღვიძებდა! მაგრამ ბნელმა ძალებმა მალე გასტყეს ერთობის ზირი, მამო დანადგვიანდა და ახლა მფარველ ანგელოზად გადაქცა უსამართლოდ დევნილ მებრძოლებს. ამ დროს იგი ბაქაში სცხოვრობდა (1905 წ.) და არა ერთი და ორი მებრძოლი გადაარჩინა, როგორც დევნას, ისე სიმშვილ-წუურავის...

ბაქაში ყოფნის დროს, სადაც იგი ნავთის მწარმოებელთა სამსწავლებლო საბჭოს ერთ ერთ სკოლაში

მასწავლებლობდა, მამო მარტო ბავშვების სწავლებით არა კმაყოფილდებოდა. მან, სხვა მასწავლებლებთან ერთად, გამართა საკვირაო სკოლა მუშაკრძობის დეგრადაციის საწინააღმდეგო. მუშათა გათვითცნობიერების საქმეს. მამოვე იყო დიდი მომხმარებელი ქართულ სახალხო თეატრისა და ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოსი. ყველა ეს მუშაობა ეკლავდა არ დარჩა ბნელის ძალებთან თავის და ერთ დღეს საბჭომ მოწერილობა მიიღო დირექტორისაგან მამო სამსახურიდან დაეთხოვათ, რაზედაც საბჭომ შედგარი ზრეტისტი გამოუცხადა. მამოს დათხოვნას როგორც სამაგიდითო მასწავლებლისა—სახალხო განათლების დირექტორის გამოკლავება არჩიეს. მაგრამ... უღმობელმა ბედმა ადარ დაატყდა მამოს, თავისი საგვარელი საქმე განეკრძო. მუდმივმა შრომამ, თავაზობა და ათასგვარმა უსამართლობამ უდროოდ დააბოუნა მისი სუსტი აგებულება და 1906 წ. ლოგინად ჩავარდა. მთელი წელიწადი საშინლად იტანჯებოდა და 1907 წ. 21 დეკემბერს ს. ბაკურაძეში განუტყვა სული. იმ დროსვე საქართველო გლოვობდა თავის დაუფიქრებელი ილიას და მხოლოდ რამდენიმე ერთი ორათ გულ-მოკლეუღმა მახლობელმა მავაცილეთ მამოს ცნობიერებული გვამა სამარის კარმადე.

მოკვდა მამო, მაგრამ შვედარი ის არის, ვინც ადარავის ადარ ახსოვს! ახლაც ხელში მატყს რამდენიმე ათეული წერილი ზაწია მოწოდებთაგან მამოსადამი მოწერილი ბაქადან ტფილისში. უნდა წაიკითხოთ ეს უმანკო წერილები, უნდა გაითავადისწინოთ რა გულ-წრთულ ტრემლებს აფრქვევენ მამოს აკადემოფობისა და სიკვდილის გამო ეს ზაწია ადამიანები და მამინ ნათლად წარმოადგენთ რამდენი სიკეთისა და სიეგარულის დათესა შესძლებია მადლით აღსავსე ადამიანს, ერთი რომელთაგანაც იყო მამო სალაროძისა.

დემოთმა ამრავალს ჩვენ ქვეყანაში მამოს მავგარი დედები, დები და მეუღლენი, მამინ უეჭველია, ჩვენს ერის ბედ-იღბალი უზრუნველ ყოფილი იქნება.

ია. ეკალაძე

### უურნალ-გაზეთიდან

გაზეთი „ზაკავ.“ დაყინებით ეკითხება ქართველ დეპუტატებს ბ. ბ. გეგეჭკორსა და ჩხეიძეს:

რა აკეთებთ რას შერებოლითო?

რა მოიქმედებთ ქუთაისის და ტფილისის გუბერნიის მცხოვრებთა განსაკუთრებულ მოთხოვნისა დასაცავათო?

დეპუტატები სდუმან; ხოლო გაზეთი „ხომლი“ ბძანებს: 1) დეპუტატები ყველაზე უფრო მედგრაათ და თამამათ ებრძოდენ ბიუროკრატის, იბრძოდენ როგორც საქართველოს ისე მთელი რუსეთის გამ-

\*) ტფილისის 1-ლ საქალბო გიმნაზია ჭქონდა: გათავებული.

გეობის სისტემის შეცვლისათვის. ჩვენი (ე. ი. სოციალ-დემოკრატთა) დებუტატები ყოველ მოხერხებულ დროს ხმარობენ, რომ აღენიშნათ კავკასიის საჭიროებანი და განსაკუთრებით კი საჭიროებანი ქართველთათ.

აი რა პასუხს აძლევს ამაზე „ზაკავკაზიე“. ვთარგმნით შემოკლებით და თავისუფლად.

სტენოგრაფიულ (ე. ი. სიტუვა-სიტუვით წარწერილ) ანგარიშებში ჩვენ კვალსაც კი ვერ ვნახულვით ასეთის დაცვისს. დებუტატმა გეგეკტორმა, მაგ., ილანაჩაკა მიწის მფლობელობის მომწესრიგებულ კომისიის შესახებ, სხელმწიფოს დაცვის კომისიაზე, ვადამდის განთავისუფლებასზე, რკინის გზის კომისიაზე, და სს... კავკასია მხოლოდ მაშინ გასსენდა, რცა სამხრეთ კავკასიაში მომხდარ ანჩვენებზე იქნათ სათათბირამ მსჯელობა და აქაც ხომ სრულიად ქართველთა საჭიროებას არ ეხებდენ.

დებუტატმა ჩხეიძემ? ჩვენ წავიკითხეთ მისი გრძელი სიტუვა ამურის მხარეზე „თამაში“ სიტუვა. თუ რცორნი დანაშალება უნდა აღმოჩენოდა სავარტომო იკონოგრაფიას (სატების სატვას) მისი უხერხული გამოჯირობება ზოლანეთის ავტონომიის წინააღმდეგ, — მაგრამ იმავე სითამაშეს, იმავე სურვილს კავკასიის საჭიროებათა შესახებ დანაშაკისს ჩვენ ვერ ვზოულვით.... ჩვენ გეგეკტვიან, ბ. ჩხეიძემ ილანაჩაკა ფინდიანდიის საკითხის შესახებ. გაზ. „სომლი“ ამტვიცებს, ჩვენი დებუტატები თამაშად იცავდენ განაზირა ადგილების ინტერესებს, მაგრამ უბედურება სწორეთ იმაშია, ქართველი ერის ტრავიში იმაში გამონსატება, რომ საქართველს წარმომადგენლებს შეუძლიანთ იბასონ რაზედაც გნებათ, „თამაშად“ დაცივან განაზირა ადგილები, გამოქმადგონ ფინდიანდიას, მაგრამ თევიზივით დამუხჯდებან, რცა საქმე შეესება ქართველი ერის საჭიროებას და სდუმან, სამარცხვინოთ სდუმან იმ ქვეყნის შესახებ, რომელმაც კავკასიანს ისინი და რომელთა საჭიროებანი მათ უფრო კარგად უნდა იცოდენ და დანარჩენმა დებუტატებმა კი სრულიად არ იციან.

„სომლი“ ამბობს, ჩვენს დებუტატებს სათათბიროში უძლადენ დანაშაკს. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, სათათბირო რატომ ეურადლებით უსმენდა ზოლანეთის დებუტატს დმოვსკის, რატომ დებუტატი სავარტვიანი ახერსებდა ადგილობრავ კავკასიის საკითხებზე ეთქვა რამე და მხოლოდ ტვიფისის და ქუთაისის დებუტატები ბ.ბ. ჩხეიძე და გეგეკტორი „თამაშინი“ თავის გამოქმადგენებაში სერეთ საკითხებში ვერ ახერსებდენ ქართველებზე და კავკასიაზე ხმის ამოღებას.

ჩვენ ვამტვიცებთ, რომ მიზეზი თვით დებუტატებში უნდა ვეძიოთ: სოციალ-დემოკრატ. დებუტატებსა

ან არ უნდოდათ დაცვით ქართველი ერი, ან და არ იცოდენ ამ საქმისთვის რცორნი მიეკეთ სელმწიფობის

ესლა კი ჩვენი დებუტატები უარს აცხადებენ, ანგარიში მოგვცენ, კავკასიონს, თუ რად იყო ასე უნაყოფო მათი სათათბიროში მოდგაწება.

ასეთი დუმილი გვიმტვიცებს, რომ ისინი არც გულ-წრფელათ მოქმედებენ და არც დემოკრატულიათ იქცევიან. სიტუვით ისინი თხოულდებენ ხაღს დაცივცეს უმაღლესი კანონ-მდებლობით უფლებაც კი, საქმით კი ანგარიშსაც არ იძლევიან.

ასე თინაზობენ ისინი, რომელნიც თავის თავს — „ხაღსის მიერ ზოლიტიკური უფლებების“ შექმნისათვის მებრძოლეთ უწოდებენ.

ყველა ნათქვამი კემბარიტია, ხოლო „ზაკავკაზიეს“, დავიწყებია მესამე ქართველი დებუტატი — თ-დი შერვაშიძე; ამ დალოცვილს სათათბიროში მხოლოდ ოზუხოვის ქარხანა მოეჩვენა განსაკუთრებული ყურადღების ღირსად. საოცნებო დებუტატები კი გვყავს, მკითხველო, არა?

\* \*

სიამოვნებით უნდა აღენიშნოთ, რომ „ამირანს“, როგორც ეტყობა, მოსწყენია „ხრიხების“ და ლოლიკური ვარჯიშობათა ბეჭდვა. ლიტერატურულ უდაბოშიაც შეხვდებთ თურმე ადამიანი დრო გამოშვებით, ოაზისს. ერთი ასეთი ოაზისაგანია ბ. ჯ — შვილის წერილი, რომელიც შემოკლებით მოგვყავს.

ჩვენ არ გვინდა ს.-დემოკრატები ბოროტ-მოქმედებად, ხალხის მოლაღატებად გამოვიყვანოთ, პარ-იქით, ს.-დემოკრატებმა ბევრი იშრომეს ხალხის გასათვითცობიერებლად, მაგრამ შრომამ ვნება უფრო მეტი მოიტანა, ვიდრე სარგებლობა ამ ბოლო დროს გამრავლდა ერთნაირი ტიპი, რომელიც თავის სულიერ და გონებრივ ხასიათით, საზოგადოდ, პსინიურ აგებულებით ძალიან განირჩევა სხვა მცხოვრებლებისაგან, გარეგნულად იგი აუცილებლად ცოტა წახრილია წელში, ვადგივთრებული და ვადამწვანებული პირი-სახეაქეს, თვალები ან ერთავად უღიმის ბოროტის ღიმილით ან კიდევ შეშინებულსავით დაჭყეტილი აქეს, სიარული ჩქარი აქეს და საქმიანი, დიდს საზოგადოებას გაურბის, ლაპარაკითაც ჩქარა ლაპარაკობს: მისი აზროვნება ერთავად მალალ ფარდებში დაცურავს, უბრალო საგანზედაც-კი არ შეუქლიან ბასი ჩვეულებრივის კილოთა, ყველსა და პურზედაც ისეთისავე კილოთი გელაპარაკებთ იგი, როგორც ფილოსოფიაზე ან სოციალიზმზე; უყვარს უცხო სიტყვების ხმარება მაშინაც-კი, როდესაც ამას არავითარი საჭიროება არ მოითხოვს; ხშირად არც-კი ესმის ხოლმე უცხო სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ მაინცა ხმარობს. არ შეუძლიან თავის იდეურ მოწინააღმდეგეს დინჯ დ ებასას; ამასთან ერთად ძალიან დიდი წარმოდგენა აქეს თავის თავზე; ყველა, ვინც-კი მას არ ეთანხება, უცოდინარი და სულელი ჰგონია ამას-კი არცა მალავს და ყოველ შემთხვევითა სარგებლობს, რა ეს თავის მოწინააღმდეგეს გააგებინოს. როგორც ფიზიკური, ისე ფსიხიური მხა-

რე ამ ტიპისა დამახინჯებულია, მისი პიროვნება ჰარმონიულად და ნორმალურად არ განვითარებულა.

რა არის ამის მიზეზი? ის, რომ საზოგადოების ის ნაწილი, რომელმაც საშუალო სასწავლებლები დაასრულა, ქართულ ცხოვრებასაც დაშორდა და მის ქირ-ვრამსაც; იგი უცხო განდა ქა თულ ცხოვრებისთვის; იგი მხოლოდ ჩინოვნიკურ ცხოვრებას დაეწაფა. საზოგადოების ის ნაწილი-კი, რომელიც ხალხს დაუბრუნდა, ხალხთან დაიჭირა კავშირი, სრულიად უსწავლელი და არაფრის მცოდნე გამოდგა. საზოგადოების ამ ნაწილიდან არამც თუ უმაღლესი სწავლა, უმთავრესად საშუალო სასწავლებელი-კი არა აქვთ ხოლმე დამთავრებული. ესენი არიან ან სოფლის ორ-კლასიან სასწავლებლების, ან სახელოსნო სასწავლებლის მოწაფენი ან სამოქალაქო სასწავლებელში კუუს დამთავრებულნი და სხვა ამნაირი. სხვა საზოგადოების ამ ელემენტებისთვის არავინა სცდილა; ეს ისეთი ელემენტია, რომელსაც შეუძლიან ძალიან დიდი სარგებლობა მოუტანას ხალხს, რადგან იგი ხალხის წივლია და სწავლის შემდეგ ხალხსავე უბრუნდება. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვე, ამ ელემენტისთვის არავის უზრუნია. არც სასწავლებლებში ცდილან, რამ მათი განვითარება ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო, სკოლიდან გამოსვლის შემდეგ ხომ სრულიად აღარავის უზრუნვია მათის განვითარებისათვის.

ასეთი მდგომარეობა იყო, ჩვენში, როდესაც მუშაობა დაიწყო ს.-დ. პარტიამ; თავდაპირველად საჭირო იყო ისეთი ელემენტი, რომელიც შეამდგომლობას გასწევდა მისსა და ხალხს შორის, მის აზრებს შეითვისებდა და გაავრცელებდა ხალხში. ამ მიზნის განსაზღვრისათვის ისინი მართავდნენ ჯგუფებს, სადაც უნდა შესწავლებინათ ერთის მხრით პარტიული პროგრამა და მეორეს მხრით ძირითადი საფუძვლები პოლიტიკურ ეკონომიისა. მაგრამ მასწავლებლები მართა ამითი არა კმაყოფილდებოდნენ და ვერც დაკმაყოფილდებოდნენ, რადგან აღამიანის ცნობის-მოყვარეობა ძალიან ფართოდ იშლებოდა. ჯგუფების მასწავლებელი იძულებული ხდებოდა ისტის საკითხებსაც შეჰხებოდა, რომელზედაც ან თვითონა ჰქონდა ნაკლები წარმოდგენა და ან კიდევ მოსწავლენი იღვწენ განვითარების იმ წერტილზე, რომ მისი გავლება და ჰკუაში ჩასახვა ძალიან ძნელი ხდებოდა. იმას, რაც სკოლაში არ მისცა ახალ-გაზდებს, სკოლის გარედ იყვებდნენ ისინი, მაგრამ ვაი აქისთანა შევსებას! სისტემატიურ ცოდნის მაგიერად მათ ცოდნის მხოლოდ ნაგლეჯები ეძლეოდათ და ისიც ნ.ხევარზე დამახინჯებული, ცოდნის შინაარს ისინი ვერასოდეს ვერ ითვისებდნენ, მათს გონებაში მხოლოდ ცარიელი სიტყვები რჩებოდა, ფრაზები, ფორმა.

აი, რა მიაბო ერთმა მუშამ, რომელიც პატარაობიდანვე ს.-დ-ბის ხელმძღვანელობის ქვეშ მუშაობდა და ესლა კი აღარა სთვლის თავის-თავს ს.-დემოკრატად: „რამდენიმე კაცი ვისხედით; ჯგუფის წარმომადგენელი ლექციებს გვიკითხავდა. ლაპარაკი მატერიალიზმზე ჩამოვარდა. როდესაც ჩვენა ვთხოვეთ, დაწერილებით გაეცნო ჩვენთვის მატერი.ლიზმი, საზოგადოდ გადმოეცა ჩვენთვის რაიმე ცოდნა ფილოსოფიიდან, მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო: „ძველს დროში აზრებობდა ერთად-ერთი ფილოსოფოსი, დემოკრიტი და ისიც მატერიალისტი იყოვო.“ ახლა თქვენთვის მომინდია, მკითხველო, იმისი გამოცნობა, თუ როგორ შეასწავლიდა მუშებს ფილოსოფიას ზემოდ დასახელებულ ჯგუფის წარმომადგენელი.


ს.-დემოკრატების პროპაგანდისტებს არავითარი საშუალება არა ჰქონდათ ყოველნაირი ცოდნა გადაეცათ თავიანთ წევრებისთვის, რადგან ჯერ ერთი ეს მათს პირდაპირ მიზანს არ შეადგენდა და, მეორეც, ამისათვის ცოდნა არ შესწევდათ. სწავლას კი თავის ხელქვეითებს ისეთს უნებგავდნენ, რომ თუ მათ კარგა გაიხეპირეს პროპაგანდისტის ნალაპარაკი. შეითვისეს განსაზღვრული ცნობანი, შეისწავლეს ამა თუ იმ მეცნიერების ნაგლეჯები,—თუ ყველა ეს მოახერხა აღამიანმა, ს.-დემოკრატიული პარტია მას მაშინვე „მოწინავე მუშის“ დიპლომა მიარტყამდა ხოლმე შუბლში; ისიც რწმუნდებოდა, რომ მოწინავე იყო, რომ იგი ყოველად სწავლული და ბრძენთა ბრძენი განდა; ეს გარემოება ამედიდურება მას, ამყებდა და თავის ძალ-ღონის მნიშვნელობას აჭარბებინებდა. ს.-დემოკრატიულმა პარტიამ ჩვენში პედაგოგების როლი იკისრა, და რადგან პედაგოგობა არც ისეთი ადვილი საქმეა, როგორც ეს პარტიის წევრებს ეგონათ, მათი მაწვლულნიც დამახინჯებულნი და უცოდინარნი გამოვიდნენ, ვინაიდან ნაგლეჯების ზერელე ცოდნა ცოდნას არ ნიშნავს.

ამ ნაირად აღზრდილი ახალგაზდა შექმდებოდა ვეღარ ახერხებს სწავლას რა-კი იგი ერთხელ გადაეჩნია საფუძვლიანად შესწავლას ამა თუ იმ საგნისას, შემდეგშიაც ვეღარ ახერხებს ამას; ცოდნის რომელ დარგსაც უნდა მოჰკიდოს ხელი, იგი უსათუოდ ზედა პირზედ დასცურავს, ყოველ წიგნში იგი მხოლოდ ნაცნობ აზრებს ეძებს, ყველაფერს დანარჩენს კი სრულიად უყურადღებოთა სტოვებს, რადგან მასში უკვე მოკლულია ჰქმმარტ ცოდნის წყურვილი, მან არც კი იცის, რა სიტკბოება აქვს ცოდნას თავის-თავად.

გარდა იმისა, რომ პიროვნება დ.სახიჩრდა, დამახინჯდა, გარდა იმისა, რომ ბრუდე მიმართულება მიიღო მუშების გონებრივმა და ზნეობრივმა განვითარებამ,—ყველა ამის გარდა საზოგადოდ დაეცა პარტიის ცემა ღრმა აზროვნებისადმი, ამ ჯურის ხალხს შეუძლიან უდიდესი გნოზები ტალახის წუმპეში ამოსვარონ, თუ იმისი აზრები მათ აზრებს არ ეთანხმება. საზოგადოებრივ კრიტიკას საზომი დაპატარავდა, სულიერი მოთხოვნილება დაბლა დაეშვა, საზოგადოება სავესებით კმაყოფილდება ზერელე ცოდნით და „ნიშადურისა“ და „ემპაკის მათრახის“—ებურ მწერლობით.

ეთხოვთ ბ. ჯ —შვილს აგვიხსნას, თუ რაშია დამნაშავე „ნიშიდური?“ უფრო საფიქრებელი კია, რომ „ნიშადური“ აქ მოყვანილია ტაქტიურის მოსაზრებით: როგორც ერთხელ ს.-ფედ. ვერ ბედავდნენ ს.-დემოკრატიის შესახებ სიმართლევ ეთქვათ ტაქტიურის მოსაზრებით.—ისე ეხლა ორს რომ სოც.-დემოკრ. იტყვიან ერთს მუჯღლუგუნს მაინც ჰკრავენ მას, ვისაც ამხანაგები ბურჟუათ ან ფეოდალათ მონათლავენ.

ეს პატარა, თქვენგან ხელ წამოსაკრავათ გამხდარი „ნიშადური“ იყო რომ დაშინებულს სოციალდემოკრატების მიერ საზოგადოებას საშუალება მისცა ხმა ამოეღო. ვინ ნახავდა ამ ორი-სამი წლის წინათ, თუნდა თქვენს წერილს? მაგრამ თქვენს რედაქციას ვისთვის დაუმახსოვრებია სამსახური ჩვენ რომ მოგთხოვოთ? ნაკლს ჩვე-



ნი ჟურნალისას ჩვენ თვითონ ვგვრძობთ და დღი-  
თი-დღე ვცდილობთ შევავსოთ და გავაუმჯობე-  
სოთ „ნიშნა ღურთი.“ ყოველ შემთხვევაში, რაა სა-  
ერთო „ემშაკის მათრახისა“ და „ნიშნა ღურთის“ შო-  
რის, იმ „ემშაკის მათრახის,“ რომელიც დაჰკეტეს  
ბინძური სიტყვებ-ასათვის?

ვისაცა სურს ამ საქმეს რამე ვშველოს საპატიო ადგი-  
ლი უნდა დააჭერინოს ხელოვნებ-საც, მეცნიერებას და უთ-  
ხრას, თავში გაუთქვიფოს ყველას, ვინც კი მოურიდებლად  
ურევს შიგ თავის ხელებს, რომ ცოტა ფრთები შეაკვეციოს  
თავის სითამამეს, კრიტიკის თვალთ შეხედოს საკუთარ პი-  
როვნებას, ასწონ-დასწონოს თავისი ძალ-ღონე და მერე ისე  
იკისროს ქვეყნის მესვეურება. თუ ეს ასე არ მოხდა, თუ  
გულ-წრფელად არ გაგტყდით ჩვენ თავის წინ ჩვენს უცო-  
დინარობაში და მუშაობა არ დაგიწყეთ ცოდნის შესაძენად,  
ისევე უცოდინარების წუმბეში ვიცურავებთ და ვერავითარი  
რეგულირების ფრაზოლოგია ვერ დაგიხსნის გახრწნი-  
სა და ერთს ადგილზე გაყინვისაგან.

**ანტონ ალვაშენაძელი**

„რადღა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“  
შ. რუსთაველი.

ბ-ნი ან. ფურცელაძე, ის ანტონი, რომელიც  
წარბ შეუხრელად თავის თავს აღმაშენებლად აღი-  
არებს და „ილიას სადიდებლად და შთამავლობის  
წინ მისი სახელის დასამკვიდრებლად“ მოვლენია  
ქვეყანას, ეტყობა სინიდიის (!) გაუმხილებია ილია  
ქავჭავაძის ფონდის შესახებ და „ამირანის“ 147 №-ში  
გამოუქიმავე ვიებერთელა წერილი რედაქციისადმი,  
რომელშიაც ამაოდ და უნაყოფად ცდილობს ან.  
ფურცელაძის რეაბილიტაცია—დაცვას და ვ. გუ-  
ნიას დამცირება-შებლაღვას.

უწინარეს ყოვლისა, მე პროტესტ ვაცხადებ  
ან ფურცელაძის საქციელზე: ის დალოცვალის შვი-  
ლი რაღა მარტო ვ. გუნიას სწვდა და ჩააცივდა,  
რადესაც „ნიშნა ღურთი“ მოთავსებული შენიშვნები  
ანტონზე მომეტებულად ჩემგან იყო ხელ მოწერი-  
ლი და მაშასადამე პასუხის მგებელიც მე ვარ. თუმ-  
ცა, რა თქმა უნდა, როგორც რედაქტორი ჟურ-  
ნალისა ვ. გუნიაც პასუხის მგებელია. მაგრამ და-  
ვანებოთ ამას თავი ან. ფურცელაძეს არასოდეს არ  
სმენია და ვერც დღეს შეისმენს, თუ რა დიდი მან-  
ძილია გონივრულ სიფაქიზესა და აღვირ ახსნილ  
ქალაჩუნობას შუა. ესეც არ იყოს ბ. ფურცელაძე  
იმ თავიდან დღევანდლამდის შეუთრეგებელი მტერა  
იყო ყოველივე მართლმსჯელობისა და ლოდიკისა  
და სწორედ ამ საარაკო უჯჯათობით და ულოდი-  
კობით თავი ისახელა მან ქართულს მწერლობაში.

ეხლა დავყვით თვით წერილის დაღმართს და  
ჩავექანოთ იმ უგნურების უფსკრულამდე, სადამდე

კეთილ ინება მიერეკა ანტონს თავისი, დღეიდგან  
ლიახ ისტორიული, ეპისტოლე—„გუნიას დამცირებ-  
ილია ქავჭავაძისა.“

1) „ბ-ნ გუნიას ჩაუვარდა გაზეთი ხელში და  
უხარიანო.“ ბ. ანტონ, უნდა მოვანსენოთ რომ ბ-ნ  
გუნიას გაზეთი ხელთ ხშირად ჰქონია, ასე მაგალი-  
თად 1886 წელს („თეატრი“) 1896 წ. („ცნობის  
ფურცელი“) და 1907 წ. („ნიშნა ღურთი“) და კიდევ  
ბევრი სხვა და სხვა წიგნაკები და ბროშურები...  
ასე რომ თქვენ მიერ აღნიშნული „სიხარული“ გა-  
ზეთის ხელში „ჩაუვარდნით,“ ცოტა არ იყოს, უცო-  
დინარობის ან ბოროტ გულმავიწყობის ნაყოფია...  
ერთო სწორი და გულწრფელი იქნებოდა თქვენისა  
მხრივ გეთქვათ: ყბად ჩაუვარდი ბ-ნ გუნიას გაზეთს,  
ეს მწყინს და ეს მაწბილებსო.

2) „ბ. გუნიას ეხლა შეუძლიან იყაროს თავის  
მოწინააღმდეგეთა ჯავრიო.“ ეგეც ბ. ანტონ, თქვე-  
ნი სულმოკლეობის და გულ-ღვარძლიანობის ნა-  
ყოფია... გაზეთი ჯავრის საყრელი იარაღი როდია  
და ყოველ შემთხვევაში რომელ მოწინააღმდეგეებ-  
ზე უნდა იყარა გუნიას ჯავრი, როდესაც აგეთე-  
ბი არ ეგულება. ხოლო მოწინააღმდეგენი, რომელ-  
თაც თქვენ გულისხმობთ და გულთმისნობთ, რი-  
გორც მაგალითად: ფ. მახარაძე, ნ. ჟორდანი, პ.  
პარბი, ლ. ყიფიანი და სხვანი მრავალნი, ბ.  
გუნიას პირად მოწინააღმდეგეთ არასოდეს არ მია-  
ხნდა და ვერცა მიიმჩნევს, რადგან მათთან პირა-  
დათ სადაო, გასაყოფი-გასაგლეჯი არა ჰქონია-რა;  
პირიქით ხსენებულ პირებთან მუდამ კეთილ გან-  
წყობილებაში ყოფილა, და თუ დრო გამოშვებისა  
მათთან კამათი ჰქონია, ეგ „ჯავრის ამოყრას“  
როდი ნიშნავს... ჯავრი, შური, მტრობა, ღვარძ-  
ლი და სხვა ამისთანა ქვენა გრძობანი განსაკუთ-  
რებული და სახასიათო თვისებაა თვითონ ანტონი-  
სა. ჩვენს მწერლობაში მხოლოდ ან. ფურცელაძე  
და სხვა არავინ არის პირადი ანგარიშების მოცი-  
ქული... ამას ჩვენ მალე დავამტკიცებთ, როცა გა-  
ვარჩევთ ანტონის წერილს ალ. ხახანაშვილის შე-  
სახებ „ЗАКАВКАЗЬ“-ში მოთავსებულს.

რაც შეეხება პირადად ან ფურცელაძის და ვ.  
გუნიას ურთიერთობას და განწყობილებას ამაზე,  
დარწმუნებული ვარ, თვით ანტონიც ვერას იტ-  
ყვის იმის მეტს, რომ მათ შორის კარგის ნაცნო-  
ბობისა, ახლო დამოკიდებულობისა და მამაშვილ-  
რის ურთიერთობის მეტი არა ყოფილა რა. შორს  
რომ არ წავიდეთ, ამ თვე ნახევრის წინედ ან. ფურ-  
ცელაძე პირადათ თუ წერილებში ბ. გუნიას „ჩე-  
მო კარგო ვალიკოს“ უწოდებდა... ასე რომ „ჯავ-

რის საყრელი“ ვ. გუნიას ანტონზე არასოდეს არა ჰქონია რა და არცა როდისმე ექნება!

3) ვინ მოახსენა ანტონს, რომ გუნია როდისმე, წინედ ან ეხლა, გამოსულიყოს ილიას „დასაცველად“ და „მზუნველად.“? სადა ან როდის ამოიკითხა ესეთი დასკვნა ან ფურცელაძემ გუნიას ჟურნალიდან? გუნია, თუ სხვებსავით და მრავალ სხვებთან ერთად, მოწადინებული იყო „ილიას ფონდის“ გაძლიერებას, განა ეს ილიას სახელის „დაცვას“ და „პატრონობას“ ნიშნავს?!. ასეთი უკიდურესი ულოლიკობა ხომ ანტონსაც არ ებატებოდა. ვ. გუნია, დღეს კი არა, ამ ათი-თერთმეტი წლის წინაც სწერდა ილიას ფონდზე, როცა ლაპარაკი ჩამოკარდ ილიას 40 წლის იუბილეზე და ეს ფონდი მაშინ მონათლული იყო „ილიას აუზის“ სახელით, მაგრამ არც მაშინ და არც დღეს ვ. გუნიას აზრადაც არ მოსვლია ამით ილიას სახელისათვის დამცველობა, მზრუნველობა და პატრონობა გაეწია. მაშინაც და დღესაც „ილიას ფონდზე“ ლაპარაკი და მსჯელობა ყოველ ქართველის მოქალაქობრივ უფლებას და კანონიერ სურვილს შეადგენდა და შეადგენს, რომელსაც სამწუხაროდ და სავალალოდ ან. ფურცელაძემ ვერა გრძნობს და არცა თანაუგრძნობს...

4) „ბ. გუნიათ გაავსო თავის გაზეთი ჩემზე ჭორებითაო“ ბრძანებს ანტონი. როდის და რა“ ჭორი, იყო ორიოდ ჩემი შენიშვნის მეტი თქვენზე ბ. ანტონ? ჩემს შენიშვნებში, ჭორებს კი არა, სრულს სიმართლეს ვწერდი ილიას ფონდზედ თქვენ შესახებ. ეს სიმართლე პირველად პატივცემულმა მოღვაწემ იაკობ გოგებაშვილმა გამოაქვეყნა „ნიშიდურში“ და ჩვენ მხოლოდ მხარი მივეცი იაკობის მართებულს გულის წყრომას თქვენს ორკოფ და ყალთაბანდურ საქციელზე. თუ თქვენ, ბ. ანტონ, გულწრფელს და მართებულს სიტყვას ჭორებს უწოდებთ, მაშ თქვენებურ ლათაიებს და პრტყელ-პრტყელ ტყუილებს რაღა ვუწოდოთ? სასაცილო ბაქიობა, სამარცხვინო თვალთმაქცობა თუ კიდევ უარესი რამ?!....

5) „დევნა წამებულთა, დევნა მართალთა გზაზე დამარცხებულთა“ უკადრისი საქციელიაო, ჯავრობს ანტონი. მერე ვის დევნიდა გუნია ან მისი ჟურნალი? ვინ არიან ეგ „წამებულნი“, „მართალთა გზაზე დამარცხებულნი“? ისინი, რომელნიც წარბ შეუხრელოდ დათარეშობდნენ სხვის გულსა და უბეში და ხალხს სოციალიზმის სახარებით ყვლეფავდნენ და სძარცვავდნენ; თუ ისინი, რომელნიც ჭირად და ჩირქად მოველინა ჩვენ ერს და გადაგვარებისა და დაღუპვის უფსკრულისაკენ მიაქაჩებდა; ან კიდევ ისინი, რომლებმაც თბილსა და ნოყიერ ადგილს

მიავნეს, ზედ განცხრომის ბინა მოიპოვეს და მოყიქრებული მადის გასაცხოველებლად „განგუტუნის კაკაოს“ და ახობადის „სპერმატინს“ სწავლავდნენ! „ნიშიდური“ მხოლოდ ასეთ „დევნილებს“ ამხელდა, მხოლოდ ამ გვარ „მართალთა გზაზე დამარცხებულთ“ უცხუნებდა კულის რიკში, ასეთ „მოღვაწეთ“ და „ჭირისუფლებს“ ასურათებდა და ნიღაბს ჰგლეჯდა მათს სიღუბჭირეს და სივერანეს... „ნიშიდური“ წამებულთა ნამდვილ მწამებულთ აკრავდა სამარცხვინო ბოძზე და, სხვათა შორის, ილიას მორალურს და ფიზიკურ მკვლელებსაც... თქვენ კი ბ.ნო ანტონ, მარად დაუფიწყარი ტარტიუფისავით, გამოსულხართ და წამებულთ იქ ეძებთ, სადაც მხოლოდ და მარტოოდენ მწამებელნი არიან!... ამ ტარტიუფობაზე, ამ ორ სკამზე ჯდომაზე და საზოგადოთ თქვენ მიერ „აფხანიკების“ დაქომავობაზე მერე მოვიცილი, ჯერ კი რუსთაველს შაირით გაგიმასპინძლებით: „მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია“! მოიხსენით ნიღაბი, ბ.ნო ანტონ!...

6) „ბ.ნ გუნიას წერით გამოდის, რომ, მე კი არა, გუნია ზრუნავდა ილიასა და მის ოჯახობაზეო“. ვინ მოგახსენათ, რომ გუნია ან სხვა ვინმე „ნიშიდურში“ ილიაზე მზრუნველობას ეწეოდა? რით ვერ გაიგეთ, თქვე ახირებულთ ადამიანო, რომ ჩვენ ყველანი „ილიას ფონდზე“ ვზრუნავდით და არა თვით ილიაზე, რომელსაც არავისაგან არავითარი პირადი მზრუნველობა არ ეჭირვება და განსაკუთრებით კი თქვენნი!...

7) „გავიდა თუ არა ილია სამსახურიდან, აღიძრა ლაპარაკი მის პენსიაზეო“. რა თქმა უნდა, ლაპარაკი უთუოდ უნდა აღძრულიყო და ილიას უსათუოდ უნდა მისცემოდა პენსია. მერე თქვენ აქ რა შუაში ხართ, ბ.ნო ანტონ?! თქვენს მონაწილეობას ამ კითხვის გადაწყვეტაში — დასტური იქნება და იგი თუ უარი — არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა და არც ჰქონდა, რადგან თქვენი ქომავობა ილიასთვის და ისიც ცოცხალი ილიასთვის სრულგებით საჭირო არ იყო და პირიქით შეურაცხყოფილი იქნებოდა... ილიას როდისმე ყური რომ მოეკრა ასეთი „ქომავობისათვის“ ცხვირპირში სთხლეშდა კრებას და თავის ქოვავს დანიშნულ პენსიას, რადგან, სხვებმა თუ არა, თქვენ მაინც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ ილიას დაუფიწყარი სიფაქიზე და თავმოყვარეობა, დიდებულ აფორიზმში გამოქანდაკებული: „უღირს ხელთაგან მეფას გვირგვინსაც არ ვიკადრებო“!... ილიას პენსია დაუნიშნა საზოგადოების სინიდისმა და გრძნობამ მადლობისამ. ნეტა გავგავებინა თქვენ რით მოგაქვთ თავი? უეჭველია,

ჩვეულებრივ კრილოვის **МЫ ПАХАМ**-ს ამბავი შეგე-  
მთხვავთ!...

8) „კრებაზე ილიას პენსიის შესახებ ერთი  
საუკეთესო \*) ზედამხედველი კომიტეტის წევრი  
კობიაშვილი წინააღმდეგი იყო არამც თუ პენსიისა,  
სრულიად უარს ყოფდა ილიას ბანკისათვის ნაყო-  
ფიერ მოღვაწეობასო“. ეგ მტკნარი სისულელე და  
ხალასი ტყუილია: ალექსანდრე კობიაშვილი სხვებ-  
თან ერთად მთელი ორი დღე არწმუნებდა ილიას —  
ბანკის გამგებლობაზე უარს ნუ ამბობ, თორემ ბა-  
ნკი დაილუპება—ისეთი პირი ჩადგება სათავეშიო და  
სხვა, მაგრამ ილიას თავის გადაწყვეტილება ვერ  
მოაზღვევინეს. ასე რომ ის „ერთი საუკეთესო წევრი“  
ილიას მოღვაწეობის დიდი პატივისმცემელი იყო,  
თუმცა ზოგიერთ კითხვებში სრულებით არ ეთან-  
ხმებოდა ილიას და ხშირად ეკამათებოდა კიდევ.

9) „ერთი საუკეთესო ჩვენი იურისტი და ორა-  
ტორი ს— ძე ამტკიცებდა, რომ წელიწადში ილიას  
2000 მ. მეტი არ უნდა მიეცეს. ვინ აღუდგა წინ  
პირველი ამ ორს გამოჩენილ პირსო“? რიხითა ბრძა-  
ნებს ანტონი და არ ვიცი, რა უფრო გავიკვირვო-  
დაწერილი სიტყვების სიყალბე, თუ დამწერის ტარ-  
ტიუფობა?

ჯერ ერთი, რას ნიშნავს ეგ ორი „საუკეთესო“  
წევრი? განა ორთა მეტი სხვები სრულებით უვარ-  
გისები ი: ვინ ბანკის რწმუნებულთა შორის? ამ  
„ორ გამოჩენილ პირს“ მესამე „გამოჩენილი“ ან-  
ტონი თუ აკლდა ალბად! რა ხელგაშლილი და გულ  
უხვი აღმაშენებელი ბრძანდება ბ-ნი ანტონი! ცერ-  
ცვისავეთ აპნეეს თავის „საუკეთესო მეგობრებ“  
შორის ეპიტეტებს „საუკეთესოს“ და „გამოჩენილს“..  
რა ენაღვლება, რას ჰკარგავს! იგი „მუდამ მზად  
არის კარი ვაულოს ნიჭიერს და დამსახურებულ  
კაცს“. ჰოი ტარტიუფო, ტარტიუჟო! ძალიანაც  
რომ მოენდომათ ამ „ორს გამოჩენილს პირს“ ილია-  
სთვის პენსია არ მიეცათ, როგორ შესძლებდნენ  
ამას? ვინ მისცემდა ეკოდენ ნებას, ვინ გააბედვი-  
ნებდა მათ ასეთ თავხედობას, თუნდაც მესამე „გამო-  
ჩენილი პირიც“, მათი „საუკეთესო მეგობარიც“  
ანტონ ფურცელაძეც რომ მიკედლებოდა მათ და  
დიდებული ტრიუმფირატი შეედგინათ?!...

10) „პირველი მე გაეხდი წინააღმდეგი ამ ორივე  
ჩემი საუკეთესო მეგობრებისაო“, გვარწმუნებს ან-  
ტონი, „მე აღვწერე ილიას დამსახურობა (!) და

\*) ბ-ნი ანტონ, უნდა ითქვას: ერთი საუკეთესო წევრი  
ზედამხ. კომიტ., თორემ, თქვენის კონსტრუქციით, ისე გამო-  
დის, თითქმის, საუკეთესო იყოს კომიტეტი და არა წევრი.

(აგ.)

ესეც-კი მოვიხსენიე, რომ ჩემთან და სხვებთან ილიას  
ნამსახურობა შესადარებელიც არ აქვს **ჩვენს**  
ერთხელ მართალი სიტყვა არ უთქვამს **ჩვენს**  
შენებელ ანტონს! ოღონდაც რომ ილიას ღვაწლი  
შესადარებელიც არ არის ანტონის „ნამსახურობას-  
თან“, მაგრამ მაგარი ის არის, რომ როცა კრებაზე  
„ერთმა საუკეთესო წევრმა“ და „ორმა გამოჩე-  
ნილმა“ პირმა ილიას პენსიის შესახებ წამოაყრან-  
ტალეს უმადური და ოცობუცური წინადადება, მე-  
სამე „გამოჩენილი“ პირი—ანტონ ფურცელაძე დუმ-  
და, თითქმის პირი წყლით აქვს სასვსეო და კრან-  
ტიც არ დაუძრავს. ხოლო იმ „ერთს საუკეთესო  
წევრს“ და „ორს გამოჩენილ პირს“ წინაღუდგა  
მთელი კრება და დიდ ილიას აკუთვნეს ის მცირე,  
რომლის ღირსი იყო და რომელსაც ვერავინ ვერ  
წაართმევდა და ვერცა ვისიმე ქომავობა და მზრუ-  
ნველობა ესაჭიროებოდა.

ერთი გვიბრძანებ-ნი ანტონ, რა შუაში ხართ  
თქვენ და თქვენი მზრუნველობა? ვინ არიან, ან  
უკეთ რომ ვსთქვათ, რანი არიან ის „ორი გამოჩე-  
ნილი პირნი“ და ზედმეტი თქვენც, იმათან ერთად,  
ილიასთან შედარებით? სრული არარაობა და ფერხთა  
მტვერი, რომელთაც ილიასთვის ვერც სიკეთის და  
ვერც ვნების მოტანა შეეძლოთ, რადგან უმაღლესი  
დამფასებელი დიდებულები ილიას ამავისა „გამოჩენი-  
ლი“ ტრიუმფირატი კი არ იყო, არამედ საზოგადოება  
და მისი მოზღვავებული გრძნობა მადლობისა „ნამ-  
სახურობის“ წინაშე!...

11) „მთელი ზედამხედველი კომიტეტის და  
გამგეობის წევრებს შორის მარტო მე დავრჩი იმ  
აზრზე“ და სხვა. ესეც დიდი და გალაღებული  
ტყუილია. ბანკის ორთავე ორგანოს წევრები სრუ-  
ლი თანხმა იყვნენ 2500 მ. გადაედვათ ილიას ძეგ-  
ლისათვის, თორემ „მარტო“ ანტონ აღმაშენებელი  
ვერას გახდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი,  
თურმე ამ ბოლო დროს, რაც ილიას მაგიერობას  
ებლაუქება, ყოვლის შემძლე და ყოვლის მომქმე-  
დი გამხდარა!..

არ ვიცი, როგორის თვალთ შეხედამენ ან-  
ტონის მიერ აბუჩად აგდებულ ბანკის ორგანოს  
წევრები ბანკის თავმჯდომარის ასეთ ბაქიბუქობას,  
მაგრამ პირად მე არ შემოძლიან არ შევნიშნო ან-  
ტონ აღმაშენებელს, რომ თავის ამხანაგების ასეთი  
განზრახ დამცირება, ცოტა არ იყოს, უხერხულია  
და კოლეგიალურ ეტიკის მხრით ყოვლად შეუ-  
წყნარებელია. უეჭველია, ან. ფურცელაძეს საკმაო  
საბუთები აქვს თავის კოლეგების ასე უტიფრად  
დასაწიხლავად, თორემ რა საფუქრებელია მარტო

თავისთვის მიეწერა ის, რაიც წესდების და ლოლიკის ძალით კოლონეგის სახელით ხდება და კეთდება! ამ ინცინდენტის გამორკვევა ანტონის მიერ დაწინაურდა კოლონეგებისთვის მიგვიწვია.

12) ან. ფურცელაძე იმით მართლულობს, რომ მარტო მე დავრჩი იმ აზრზე, რომ ბანკის მოგებიდან ილიას ფონდი შეგვედგინაო და თავიც მოაქვს ამ „მარტო დარჩენით.“ ან. ფურცელაძე, რომელსაც ყოველთვის ნარის მოგლეჯა სხვის ხელით ემარჯვება, უსათუოდ „მარტო“ უნდა დარჩენილიყო მის მიერ წამოყენებულ კითხვაში, რადგან ბანკის მოგებას სხვა ათასი საჭირობოროტო და საშვილისშვილო დანიშნულება აქვს და, სხვათა შორის, ანტონისა და სხვების ყოველ წლიური დივიდენტიც... ილიას ფონდის მთავარი წყარო ნებაყოფლობითი შემოწირულობაა და სწორედ ამ ნებაყოფლობითი კერძო წყაროებიდან შეიკრიბა დღევანდლადე ილიას ფონდისათვის 11000 მან. ანტონ აღმაშენებელი კი ბანკის მოგებიდან ლამობდა პირადი მოვალეობის გადახდას. აღმაშენებლობაც აგეთი უნდა! ბ. ანტონ, ჯამაგირებიდან, დივიდენდებიდან და სხვა კერძო წყაროდან იკრიბება ილიას ფონდი და თქვენ კი სიტყვას ბანზე აგდებთ. არ გეკადრებათ ასეთი გაუგებრობა! მას შემდეგ რაც თქვენ ილიას მაგიერობას თამაშობთ, სულ უკანასკნელი ორ-სამ წელიწადში თქვენი შემოსავალი 25000 — 30000 მან. გაუსწორდება. ეგოდენ შემოსავლიან ოცი, ოცდაათი თუმნის გალება თქვენ უკან ვერ დაგწვდათ ხოლო სხვებისთვის თვალ საჩინო მაგალათი იქნებოდა შესაფერი წვლილის გამოსაღებად.. თქვენ კი ბანკის მოგებიდან გვპირდებით ფონდის გაძლიერებას.. რა ფასიც აქვს ასე „გულკეთილობას და ხელ გაშლილობას, თუ თქვენ არ უწყით, მე მოკახსენებთ: „უხვად გავცემდეთ, ვავსებდეთ, სიძუნწე უმეცრულია!“

13) „ეხლა გკითხავთ ბ ნო გუნია, ვინ და რომელმა იზრუნა მეტი ილიას სახელის სადიდებლად და შთამამავლობის წინ მის სახელის დასამკვიდრებლად“ მე თუ თქვენაო? ამპარტავენად დაგვძახის ანტონი!

საბრალო ილია! დიდებული ანტონ!! თურმე ნუ იტყვით, ანტონ ფურცელაძე ილიას სახელის სადიდებლად „იღვწის!..“ ბ-ნო ანტონ, რასაჭიროა ეგ ზრუნვა ილიაზე?! ილიას არავის ზრუნვა არ სჭირია და რაც შორს იქნება მისი დიდებული სახელი ყოველივე მზრუნველთაგან მით უკეთესია... კრაქმა და ქონის სანათურმა ვით უნდა შესძლოს მზრუნველობა ბრწყინვალე მზეზე!

ანტონ ფურცელაძე ჩამოსთვლის რა თავის ნაღვაწ-ნამოქმედარს სიხარულით ცას ეწვევა, ხევიდან ქვეშ გადმოგვცქერის და ყველას არწმუნებს, რომ იგი ანტონ — აღმაშენებელია!

„მაშინლაა ლინი ამო, რა გადინდის კაცი ქირსა.“ თქვენ კი ბ-ნო ანტონ, ილიას წინაშე არასფერი არ გადაგიხდიათ და თუ დიდებული ილიას სურათი ჩამოგიკიდნიათ ბანკის დარბაზში, ერთხელ მაინც დაგვეთახვინით, რომ „ეს ღვაწლი“ ისეთი „აბსურდია“, იმ მრავალ სიკეთესთან, რომელიც ილიას პირადად თქვენ წინ მიუძღვის, რომ თქვენი სამაგალიათო და კეთილ-შობილური გრძობა სალაპარაკოდაც არც კი ღირს.

„გული კრულია კაცისა ხარბი და გაუმაძღარი“!. თქვენ ბ. ანტონ, სწუხართ მწერლობის ზნეობის დაცემაზე. მეც სრულიად გეთანხმებით, დიდი ცოდვაა ზნეობის დაცემა ნამეტნავად იქ, სადაც ეს ზნეობა უნდა მშუქდეს მალლობ ადგილებზე, მაგრამ საუბედუროდ, ზოგჯერ საზოგადოებრივ სიმალლებზე არწივების გარდა ქვემძრომებიც აცოცდებიან ხოლმე და ზნეობრივ შუქის მაგიერ თავიანთ სიღუბჭირეს აბოლებენ... რა გაეწყობა!.. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი უკულმართობა დიდ ხანს არ გასტანს!

დასასრულ ერთი რჩევა(კ, რომელიც ერთმა ჩვენმა პოეტმა თავის მეტოქეს უძღვნა:

Я съ далъ тебѣ совѣтъ полъзныи,  
Да не послушаешь меня,—  
Сучки другихъ оставь любезныи,  
Довольно бревень у тебя!..

მონადირე



ნიმჭალის გმირი  
პროვინსიში

რედაქტორ-გამომც. ვალერიან გუნია.